№ 5 იანვარი 8, კვირა 1889 იანვარი 8, კვირა № 5

# ივერია


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა სააღგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).

**ქუთაისში:** ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 7 იანვარი

ამ დღეებში ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რომ ამ ორის თვის შემდეგ სრულდება ათი წელიწადი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მოღვაწეობისა. მაშინვე ვსთქვით, რომ ათი წელიწადი თუმცა ბევრი არაფერია, მაგრამ ამ ცოტა ხნის განმავლობაში „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ დიდი სამსახური გაუწია ქართველს საზოგადოებას და ამიტომ, ვამბობდით ჩვენ, ქართველობამ უნდა იდღესასწაულოს საზოგადოების დღეობა და რაიმე კეთილის საქმით აღბეჭდოს იმისი მედგარი და ერთგული სამსახური. ეხლა მეტი არ იქნება მკითხველს ორიოდე სიტყვით გავახსენოთ ამ საზოგადოების მოღვაწეობა. „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ დააარსა რამდენიმე ქართული სკოლა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. საქმე ის არის, რომ ამ სკოლებს თანამედროვე პედაგოგიის შესაფერი პროგრამა აქვს და ეს პროგრამა თანდათან მეტს თანაგრძნობას ჰპოულობს ქართველობაში. დღეს იშვიათია ცოტათი მაინც შეგნებული ქართველი კაცი, რომელიც „წერა-კითხვის საზოგადოებას“ არ ეხმარებოდეს და არ თანაუგრძნობდეს. თვით მიყრუებულსა და მივიწყებულს დაბა-სოფლებშიაც-კი ჰმართავენ წარმოდგენას და აგროვებენ ფულს ამ საზოგადოების სასარგებლოდ. საქართველოს ყველა კუთხიდგან ამავე საზოგადოებას უგზავნიან ძველს ხელ-ნაწერებს და წიგნებს ჩვენის წარსულისას. ამ სახით მთელმა შეგნებულმა და გონიერმა ქართველობამ «წერა-კითხვის საზოგადოება» აღიარა და მიიჩნია საშვილიშვილო დაწესებულებად, რომელიც ჩვენის ცხოვრების სათავეში უნდა იდგეს. ამ ცოტა ხნის განმავლობაში ახალს, ნორჩს საზოგადოებას მრავალი დაბრკოლება და განსაცდელი გადაუვლახავს და ეს არის თავი და თავი ნიშანი და საბუთი იმ საქმის სიცხოველისა, რომელსაც ჩვენი საზოგადოება ემსახურება.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მოღვაწეობა მარტო სკოლების გამართვით არ არის შესანიშნავი. საზოგადოებას ამაზე უფრო თვალსაჩინო სამსახური მიუძღვის ქართველების წინაშე. ამ ათის წლის წინად ჩვენი წარსული მწერლობა მთელს საქართველოში გაბნეული იყო. ვინ იცის, სად ეყარა და სადა ლპებოდა ჩვენი ძველი ხელ-ნაწერები და წიგნები და ვინ იცის, რამდენი ძვირფასი საუნჯე სამუდამოდ დაიკარგა! ვინ იცის, რამდენს განძს ჩვენის მწერლობისასა და ხელოვნებისას ბოლო მოუღო სტიქიონმა და კაცთა დაუდევრობამ, უზრუნველობამ, მაგრამ ამისდა მიუხედავად მრავალი ნაშთი აქა-იქ დაცული იყო, ნამდვილად-კი არავინ იცოდა, სად რა იყო და ვის რა ჰქონდა. „წერა-კითხვის საზოგადოებამ“, ამის შემხედვარემ, დააარსა წიგნთ-საცავი და შეუდგა ხელ-ნაწერებისა და წიგნების შეგროვებას და დღეს ეგ წიგნთ-საცავი შეიცავს მრავალსა და ძვირფასს ნაშთს ჩვენის წარსულის ისტორიისასა და მწერლობისას. ამ წიგნთ-საცავში ათასზე მეტი ძველი ქართული ხელთ-ნაწერი და წიგნი იპოვება და ეს მდიდარი მასალა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია და ელოდება უფრო მხნესა და მცოდნე თაობას, რომელიც ამ მასალის შემწეობით შუქს მოჰფენს ჩვენს წარსულს. უმთავრესი სამსახური „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ ის არის, რომ მან დაიცვა და ერთად შეჰკრიბა ქართულის მწერლობის ნაწარმოებნი, ისტორიის ქარ-ცეცხლში გამოტარებულნი. დღეს იმათაც, ვინც პირველად ჩაჰყარა საძირკველი „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ და წიგნთ-საცავისა, უკვირსთ, რომ ეგოდენი მასალა შეგროვდა წიგნთ-საცავში.

ქართველმა საზოგადოებამ, თუ უნდა ჯეროვანად დააფასოს „წერა-კითხვის საზოგადოების“ მოღვაწეობა, უპირველესად ყურადღება უნდა ათხოვოს წიგნთ-საცავს და იმას, რომ ამ საზოგადოებამ უპატრონა ჩვენთა მამა-პაპათა ნაღვაწსა და ნამოქმედარს. დღეს ამ წიგნთ-საცავს შესაფერი ბინა და მოვლა აკლია საზოგადოების ხელმოკლეობის გამო და ამიტომ ქართველობამ პატრონობა უნდა გაუწიოს საშვილიშვილო საქმეს. ამიტომაც ათის წლის მოღვაწეობა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ ქართველობამ უნდა იდღესასწაულოს და აღნიშნოს კეთილის საქმით. ეს კეთილი საქმე ის იქნება, თუ ქართველობა თავისს წვლილს გაიმეტებს და წიგნთ-საცავს შესაფერს სახლსა და სადგომს აღმოუჩენს. ეს საქმე ძნელი და მოუხერხებელი არ უნდა იყოს, რადგანაც მთელის ქართველობისათვის სრულიად გასაჭირი არ იქნება ხარჯის გაწევა სახლის ასაგებად ისეთის საშვილიშვილო დაწესებულებისათვის, როგორიც „წერა-კითხვის საზოგადოებაა“. ვიმეორებთ, აუცილებლად საჭიროა ათის წლის მოღვაწეობა «წერა-კითხვის საზოგადოებისა» ქართველობამ კეთილის საქმით აღბეჭდოს და ეს კეთილი საქმე ჯერ-ჯერობით ის იქნება, რომ პატრონობა გაუწიოს და შესაფერი ბინა და სახლი აუჩინოს ჩვენს წიგნთ-საცავს.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, წყალ-კურთხევა დღეს, დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავი იორდანეზედ. ალექსანდრეს ბაღი, ორივე ხიდი, რომელზედაც ჯარი იყო გამწკრივებული, და იორდანეს ჩასავალი სავსე იყო ხალხით. მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ეგზარხოსი საქართველოსი არქიეპისკოპოსი პალლადი სამღვდელო კრებულითურთ თითონ ბრძანდებოდა იორდანეზედ და აკურთხა წყალი. წრეეანდელს წყალ-კურთხევას წარსულ წლებთან სიკეთე ისა სჭირდა, რომ ხალხს ნებას აძლევდნენ იორდანეზედ ჩასვლისას და მისვლას მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოეობა პალლადისთანა და ეპისკოპოსს ალექსანდრესთან, რომელნიც უსუპებით იდგნენ და ახლად ნაკურთხს წყალს ხალხს ასხურებდნენ. პოლიცია წრეულს თავაზიანად იქცეოდა, არავის უშლიდა ისე რიგად ახლო მისვლას სამღვდელო კრებულთან და ამ გარემოებამ ძალიან ასიამოვნა ხალხი.

*** წარსულს გაზეთში გვქონდა გამოცხადებული, რომ ტფილისის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის ხელ-ქვეშით ლინდენის სახლიდგან ვიღაც უცნობთ მოუპარავსთ ოქროს საათი ძეწკვითურთ, სამაჯური

## ფელეტონი

### სიმღერა

ჩემი გული მთასა ჰგავის,
წვერით ცამდის მიწდომილსა;
შენი გული—ცივსა თოვლსა,
იმის თავზედ დარჩომილსა.
მე—მენავესა, ქარისგან
არეულს, ყიალებულსა;
შენ —სანუკარსა ხმელეთსა,
თანდათან დაშორებულსა.
სასურველი ხარ, ვარსკვლავო,
გიდრე ერთს ადგილს იდგები;
თუ გაჰთხოვდები, იარე,
თან-კი ვერ გამოგიდგები.
მაისის მზე ამოვიდა,
იგალობე, მგელწვიაო;
დაუშურე, გაზაფხული
წელიწადში ერთიაო.

ბაჩანა

### მოგზაურობა

უცხოელ კაცისა კავკასიაში*)

არც თელავი დარჩა უნახავი ბ-ნს უორდროპს. რასაკვირველია, ამ მაზრის ადგილებზედაცა აქვს მრავალი საინტერესო ცნობები, როგორც ისტორიული, აგრეთვე აწინდელიც. ადგილ-მდებარეობას ალტაცებაში მოჰყავს ავტორი და ისეთის სურათებით უწერს ინგლისელებს, რომ მისს ცნობის-მოყვარე თანამემამულეებს პირში ნერწყვი მოუვათ ამ მშვენიერების აღწერით. თელავიდამ გომბორის გზით დაბრუნებულა ტფილისს ბ-ნი უორდროპი და აქაც არა ჰზოგავს თავისს კალამს, რომ მოაწონოს მკითხველებს ღირსება ბუნებისა, თუმცა არც იმასა ჰმალავს, რომ კახეთის ქალაქ-სოფლებში ნახახიც არ არის რიგიანის სასტუმროებისა, სადაც კაცს შეეძლოს თავი მაინც შეაფაროს, ან იშოვნოს საჭმელ-სასმელი. თუ რაღაც ბედნიერის შემთხვევით არ წავწყდომოდი ნაცნობს თავადიშვილს, რომელმაც წამიყვანა თავისს სახლში და, შემდეგ ხანგრძლივის ქეიფისა, გამატანა თან ტიკჭორით ღვინო და ხორაგეულობა, სწორეთ ძალიან დავშივდებოდი ამ მდიდარსა და უხვს ქვეყანაშიო,—წუხილითა სწერს ბ-ნი უორდროპი.

ხოლო ჩვენ ამით ვიკმაროთ საუბარი ავტორის შენიშვნებზე შესახებ ჩვენის ქვეყნის ბუნებისა და ადგილებისა.

მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს, რა აზრი შეუდგენია ახალგაზრდა მოგზაურს ქართველების ზნე-ჩვეულებასა და ხასიათზე შემდეგ ჩვენის გაცნობისა. დიდად სასახელო უნდა იყოს ჩვენთვის, რომ ევროპიელს კაცს ასე მოსწონს ჩვენი ეროვნული ხასიათი. ბ-ნი უორდროპი გვიქებს არა მარტო სტუმართ-მოყვარეობას, არამედ თავაზიანობასაც, გულკეთილობასა და უბოროტობასაც. ავტორი ამბობს, რომ თუ ქართველი ხალხი მალე დაადგა სათანადო განათლების მოპოვების გზას, თუ მიენიჭა ძალა თავისის თავის მოვლა-პატრონობისა, ეს ხალხი ძალიან მალე გაიშლება წელში და მაგრა მოიკიდებს ფეხს რიგიან ცხოვრებისათვის, რადგან ხასიათი შემუშავებული აქვს სრულის საზოგადობრივ და სამოქალაქო არსებობისათვისო.

ავტორს ძალიან მოსწონს განწყობილება, რომელიც უნახავს ქართველ გლეხობასა და თავად აზნაურობას შორის. ევროპაში საზოგადოდ და ნამეტნავად ინგლისსა და რუსეთში თუ მებატონესა და გლეხებს ჩამოუვარდათ ერთურთში რაიმე უსიამოვნება, მაშინათვე სასამართლოს მიჰმართავენ ხოლმეო. საქართველოში-კი უთანხმოებას მოსდევს ის, რომ განაწყენებული მხარე შეჰყრის სწორ-ამხანაგებს, დაესხმის თავს ძროხასა თუ სხვა საქონელს მოპირისპირისას, მოსტაცებს ერთს ან ორს პირუტყვს და იქნება კიდეც დაუკლას. ამას შემდეგ პატარა მუშტი-კრივიც გაიმართება ხოლმე და იშვიათი შემთხვევაა, რომ უთანხმოების საგანი სასამართლოდ შეიქმნეს. თითონვე მოჰრიგდებიან ერთმანეთში და შეუძლებელია, რომ თავადმა თუ აზნაურმა არ დაუთმოს გლეხსაო.

შესახებ ქართველის გულკეთილობისა მოგზაურს მოჰყავს ერთი შემთხვევა. „წმინდა ნინოს ეკკლესიის სანახავად რომ მივდიოდი ბოდბეს, გავიარე ერთის დუქნის წინ, სადაც სამი-ოთხი ქართველი ქეიფს ეწეოდა. დამინახეს თუ არა, მაშინათვე დამიწყეს ხვეწნა—მობძანდი, ჩვენთან ღვინო მიირთვიო. მე დიდი მადლობა ვუთხარი, არ შეველი იმათთან და ბოდიში მოვიხადე, რადგან ვეჩქარებოდი და დროება არა მქონდა. ბოდბედამ რომ დავბრუნდი, იმ დუქანთანვე გამოვიარე. მაშინ-კი ეს ქართველები გამომეგებნენ გზაში, მოიხადეს ქუდები და მაწვდიან ჭიქით ღვინოს. მეტი გზა აღარ იყო, უნდა დამელია, თორემ უარით ძალიან ვაწყენინებდი ამ კეთილ ხალხს. ეს ერთი ბეწო შემთხვევა ჩინებულად გიხატავთ ქართველის კაცის ხასიათს: როცა ქართველი კაცი მხიარულია, იმის გარშემო უთუოდ ყველანი უნდა მხიარულობდნენ, თორემ უამისოდ თითონაც ძალიან უბედურად ჩასთვლის თავს. მე მინახავს ერთი ქართველი აზნაური, რომელმაც ორი-სამის წუთით თავი დაანება ქეიფს, რომ წასულიყო და ბაგაში საჭმელი მიეცა თავისის ცხენისთვის, თუმცა სრულებით არ იყო საჭირო. ამ სახით ერთგულ ცხოველსაც წილი ერგო საზოგადო მხიარულებაში“.

**

ჩვენ ადრევე ვაცნობეთ მკითხველს, რომ ბ-ნ უორდროპის წიგნში მოყვანილია მოკლე ისტორია საქართველოსი, ისტორია ჩვენის მწერლობისა და აგრეთვე ჩვენი აწინდელი ურთიერთობა რუსეთთან. ყოველსავე ამაზე დაწვრილებითს ბაასს ჩვენ, სხვადა-სხვა მიზეზისა გამო, არა ვკისრულობთ. ჩვენს ისტორიას ასე იწყებს ავტორი: «უნდა ვსთქვათ, რომ საქართველოს ისტორია იწყება ფარნაოზიდამ, რომელიც იყო პირველი მეფე ამ ქვეყნისა და სცხოვრებდა მე-

*) იხ. „ივერია“ №№ 257, 261 და 276.

და ბეჭედი, სულ 300 მან. დაფასებული. პირველის განყოფილების პოლიციის ბოქაულს ბ-ნს სვიმონოვს უკვე აღმოუჩენია ქურდებიცა და მონაპარის ზოგიერთი ნაწილიც. საკვირველი ის არის, რომ ეს მონაპარი სულ სხვა-და-სხვა ადგილას აღმოჩენილა. მაგალითებრ, სვიმონოვს ერთი ნაწყვეტი ოქროს ძეწკვისა გოლოვინის პროსპექტზე მყოფ ოქრომჭედელთან უპოვნია და მეორე—კუკიაში. საზოგადოდ, ჩვენი ოქრომჭედლები ძალიან დაჩვეულნი არიან მონაპარის ყიდვას, რადგან კარგს სარფასა ჰხედავენ და ნახევარ ფასად იძენენ. კარგი იქმნება, ეს მავნებელი ჩვეულება მოესპოთ და ამ მხრივ ქურდებს ავაზაკობაში ხელს არ უმართავდნენ და დანაშაულის ჩადენას არ უადვილებდნენ.

*** 6 იანვარს გამართულმა ბალმა ტფილისის კრუჟოკში ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ ჩინებულად ჩაიარა. ქალები მეტად კარგად და მდიდრულად იყვნენ ჩაცმულნი. მხიარულება და სიამოვნება დიდი იყო. სცეკვავდნენ ას ორმოცსა და ას სამოცზე მეტნი. ამბობენ, რომ ას ორმოც-და-ათ თუმნამდე შემოსავალი იქმნებოდაო.

*** ტფილისში ერთი ფრიად სასარგებლო აზრი ტრიალებს და, როგორც შევიტყეთ, იმისი პროექტიც შეუდგენიათ. ეს აზრი ის არის, რომ რიგიანად და წესიერად მოეწყოს ყიდვა ხილისა და ბოსტნეულობისა ტფილისის ბაზრებში

*** ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ამ ცოტა ხანში, პეტერბურგში, დაიბეჭდება რუსულად ზოგი ქართველ პოეტთა ნაწერი, გადათარგმნილი ბ-ნის ტხორჟევსკის მიერ. თავისის თარგმანების დაბეჭდვა დიდი ხანია განზრახული ჰქონდა ბ-ნს ტხორჟევსკის და დღეს-კი საბოლოოდ გადაუწყვეტია.

*** **მეჯვრისხევი:** ჩვენსკენაც დიდი სიცივეები და ყინვებია. მეჯვრისხევში წყლის უხვობაა ხოლმე, მაგრამ წრევანდელმა ყინვებმა ისე გაჰყინა მდინარე, რომ შუადღემდე ძლივს ავსებენ წყალს; რუები ხომ სულ ამოჰყინა. ამ დღეებში წყლის გულისათვის კინაღამ ერთი კომლი კაცი არ ამოსწყვიტეს. რუს თურმე სჩეხავდნენ, ყინულს ჰყრიდნენ, რომ წყალი მოეგდოთ მდ. მეჯუდიდამ. წყალი მოვარდნილიყო, მისცემიყო ერთს მეკომურს, ამაზე შელაპარაკებულიყვნენ და დაეშინათ კეტები ერთმანეთისათვის. ერთის გლეხის სახლში ორი კაცია მძიმედ დაჭრილი და დაბეჟილი კეტის ცემით. მამასახლისს გამოუცხადეს, მაგრამ იმას ჯერაც არ უცნობებია მაზრის ექიმისათვის, რომ მიეპატრონოს ამ საბრალოებსა და უწამლოს რამე.

*** **ქართლი:** წრევანდელმა დიდმა ზამთარმა ბევრი ხალხი იმსხვერპლა: ზოგან გაჰყინა და ზოგან ნამქერმა დაარჩო. ამ დღესასწაულებში ცხინვალის გზაზე მოხდა შემდეგი უბედურება: სოფ. ტყვიავიდამ წამოსულა ორის ცხენით ბ-ნი ფ—ის კაცი წ—ძე, ჩამოსულა ს. კარალეთში და აქ ცდა დაუწყია მარხილისათვის, რომელიც მოგზაურთათვისა აქვს გამართული ბ-ნ ფ—სა: საცოდავს წ—ძეს ცხენები მისაშველებლად წამოუყვანია. მოსულა ერთი მარხილი და უთქვამს ამ ბიჭისათვის, რომ თქვენი მარხილი დღეს ველარ წამოვიდა გორიდამ, ნულარ მოუცდი, თვალნათლივ დაბრუნდი შინაო. იმას არ დაუჯერებია, უცდია, უცდია, მაგრამ სად არის მარხილი. მიუყვია ხელი დუქანში არაყისათვის, ცოტა სმაცა ჰყვარებია უბედურს. დუქანში ერთი ვანათელი კაციც შეხვედრია, ორთავეს გადაუკრავთ. რომ კარგად შეხურებულან, გადამსხდარან ცხენებზე და წამოსულან ტყვიავისაკენ. ნახევარი გზა რომ გაუვლიათ, ქარბუქსა და კორიანტელს თვალები აუბამს, გადაცვივნულან ცხენებიდამ და ორივენი წაუნამქრავს. ერთს ბუჩქისათვის მიეტანებინა და თავი შიგ წაეყო, მეორე პირ-ქვე დამხობილიყო. ცხენები აჭრილიყვნენ სახლში. მეორე დილით ცოცხალ-მკვდრები აეყვანათ სოფელში. ბევრს თურმე ეცადნენ, მაგრამ სიკვდილს ველარ გადაარჩინეს. წ—ძე გარდაცვლილა. ვანათელი კაცი-კი ცოცხალია, მაგრამ ველარც ის გადარჩება, ორივე ფეხები მოუძრავსო.

*** **თელავი:** თელავის მოქალაქეებმა, როგორც იყო, აირჩიეს ქალაქის დეპუტატები. როგორც იყო-მეთქი, რადგან სამი დღე ელაღებოდნენ ხალხს და ძლივს შეაქუჩეს საჭირო რიცხვი ხმოსანთა. დეპუტატებად ამოირჩიეს ბ-ნი ყაზახაშვილი და ბაღდოევი. წარმოიდგინეთ, თელაველებიც მიხვდნენ, რომ ქალაქის საქმეების უკეთესად მსვლელობისათვის საჭიროა თვით-მმართველობა, მიხვდნენ, გამართეს ბჭობა და დაასკვნეს სთხოვონ მთავრობას, რომ მიენიჭოს თელავსაც ეს უფლება.

*** **ზ. ზუგდიდი:** ამ ხუთი-ექვსის დღის წინად ზუგდიდში ჩამოსულა ვიღაც ორი ქუთათური ურია შაქრის სასყიდლად, რადგანაც ქ. ქუთაისში სიძვირე ყოფილა. თვით ურიები დამალულიყვნენ ერთის აქაურის ვაჭრის დუქანში. ერთმა მათმა ნაცნობმა დაიწყო შაქრის ყიდვა და დააგდო ხმა, რომ ჩვენთვის გვინდა, შაქრის მაღაზია უნდა გავხსნათო. ზოგი ვაჭარი მოსტყუვდა და მიჰყიდა რამდენიმე ფუთი ექვს-ექვს მანეთობაზე, ასე რომ მთლად ას ფუთამდე იყიდა და ღამით ჩაბარა ურიებს. ამათ ქუთაისში წაიღეს. ბოლოს შეიტყეს მოვაჭრეებმა, მაგრამ გვიანღა იყო და დიდს საყვედურს უცხადებდნენ აქაურს მოვაჭრეებს, რომლებმაც ასე მოხერხებულად თავიანთი ამხანაგი და ძმა ერთი-ორის თუმნისთვის გასცვალეს და ქუთათურს ვაჭრებს ხელი მოუწყეს. ამ გარემოებამ ზუგდიდში შაქარი გააძვირა, ასე რომ გირვანქა 23 კაპეიკამდე ასწია, როცა რომ 15—16 კაპეიკი იყო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

თელავი. თელავში ითვლება ამ ჟამად ათი ათასზე მეტი მცხოვრები. ბევრია ამაზე პატარა ქალაქი, რომელსაც აქვს თვით-მმართველობა ინახავს გამგეობასა და საბჭოს და თვით განაგებს საკუთარს ჭირსა და ლხინს.

მხოლოდ ჩვენი თელავი არ იბერტყავდა ყურს და ერთის გველეშაპის ზღაპრისა არ იყოს, რომლის გასაძღომად ხალხს წელიწადში თითო ყმაწვილი უნდა გაეწირა, ისე მოსდიოდათ ჩვენ დინჯს თელავსაცა და იმისს მცხოვრებთაც. რასაც-კი მათი ამორჩეული „დეპუტატები“ შეაწერდნენ, მეტი ილაჯი არ იყო, უნდა გამოეტანათ. არა-და, თულუხებსა და ბარგსაც აჰკიდებდნენ ზურგზე, ვირის თოფრასაც აუდებდნენ პირზე და ისე ჩამოატარებდნენ ბაზარ-ბაზარ ხალხის სახარხაროდ. ამაში სხვებზე უფრო იჩენდა უნარს ერთი ბატონი, რომელსაც წელსაც უნდოდა «ზბორშიკობა», ანუ ხარჯთ-მკრეფელობა ჩაეგდო ხელში... მერე დეპუტატებსაც როგორს ირჩევდნენ?!

აქაური მოქალაქე ხომ ჭკუასა და გონებას, ენერგიასა და ხალხის სიყვარულს არ გაუსინჯავდა „სადეპუტატო“ კაცს! ეს რა იმათი საქმე იყო. აქ მხოლოდ დანიერული ხაში იყო საჭირო. ხაში გაესინჯათ და თუნდაც ისეთსაც ამოირჩევდნენ სიაპოვნებით, რომ წლის განმავლობაში ნახევარ ქალაქისათვის გვერდები გამოეხრა!..

გაზეთ „დროებაშიაც“ არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული აქაურის „დეპუტატების“ ხრიკები, იმათი ხაშითა და ჩიხი-პიხებით ამორჩევა და მათი გამგებლობა: როგორც მრუდეთ იყო დაყენებული ამორჩევის საქმე, ისევე მრუდეთ იყო დაყენებული ხარჯის განაწილების საქმე: ღარიბი რომ ერთი ათს იხდიდა, მდიდარი იმის ნაათალსაც არა.

მდიდარს, რომელსაც მილიონის შეძლება აქვს, ოთხ მანათს შეაწერდნენ და ვიღაც ღარიბ-ღატაკს მუშა გლეხს, რომელსაც სადმე მივარდნილს ადგილას ერთი პატარა ქოხი აქვს და იმ ქოხსაც გვერდებში რამდენიმე ბიჯგები აქვს შეყენებული, რომ ქარმა არ გადააბრუნოსო, იმას 25 მანათს შეაწერდნენ.

ამ გვარად მიზოზიალებდა თელაველების საქმე 1886 წლამდე, როცა მოწადმართე ახალგაზდობის რჩევითა და მეცადინეობით მოხდა არა ჩვეულებრივი ამორჩევა, არამედ ისეთი, როგორიც საჭირო იყო თელავისათვის და როგორსაც წესი და რიგიც მოითხოვდა.

ამოირჩიეს დეპუტატად ენერგიით სავსე ახალგაზდა ბ-ნი მიხეილ თათუზოვი და ფირუზა ყაზახაშვილი.

ამათ ქალაქის საქმეები მთლად აწეწილ დაწეწილი დახვდათ, შეექიდნენ მედგრად, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზის გამო ვერა გააწყეს-რა, ყოველს ნაბიჯზე აუარებელი დაბრკოლება ხვდებოდათ და, დარწმუნებულნი, რომ ამ გვარად უფლება მოკლებული დეპუტატები ქალაქის საქმეს წინ ვერ წასწევდნენ, ზოგიერთ მოწადმართე ახალგაზდას დახმარებით ხალხს ჩააგონეს, რომ ქალაქის საბედნიეროდ აუცილებლად საჭიროა შემოიღონ **თვით-მმართველობა**, რომ ხარჯის შემამოკლებლად ჯერ ჯერობით უდამგეობოდ შემოიღონ **საბჭო**, როგორც არის გიორგიევსკი და სხვაგან.

წელს რადგანაც ძველს დეპუტატებს ვადა გაუვიდათ (სამის წლით დარჩნენ), 26 ნოემბერს დანიშნული იყო კრება ახალის დეპუტატების ამოსარჩევად, მაგრამ კრება გადაიდვა ორჯელ, რადგანაც კანონიერი რიცხვი ამომრჩეველთა არ გამოცხადდა. მესამე კანონიერი კრება მოხდა 26 დეკემბრისას და გაცილებით ბევრი ხალხი დაესწრო წინანდელზე.

ხალხი ჯგუფ ჯგუფად იყო დაყოფილი და ცხარე სჯა და ბაასი ჰქონდა თვით-მმართველობის შემოღებაზე. თუმცა თითო-ოროლა ჭკუის გლახები და ქალაქის ფულების ჭა-

---

სამე საუკუნეში ქრისტეს წინ. ეს ის მეფეა, რომელსაც შემოუღია საქართველოში მხედრული ანბანი. იმ უძველეს დროიდამ მოყოლებული დღემდე ჩვენა ვპოულობთ თითქმის განუწყვეტელს მოთხრობას მატიანესას, რომლის სიმართლე ჰმტკიცდება იმისის თანხმობით სხვა ქვეყნების მატიანეებთან. ვინც მოიწადინებს განსაკუთრებით შეისწავლოს საქართველოს უძველესი ისტორია, იმათთვის მე დამატებაში ჩამოთვლილი მაქვს ყოველი თხზულება ამის შესახებ და ეს თხზულებანი ადვილად დააკმაყოფილებს იმათს ცნობის-მოყვარეობას. ეს ჩემი წერილი-კი შეეხება უფრო ახალ დროებას, მეთერთმეტე საუკუნიდამაო“.

ამ შესავლის შემდეგ ავტორი პირდაპირ გადადის სახელოვან დავით აღმაშენებელზე, რომელიც გამეფდა 1089 წელს. „დავით აღმაშენებლის წინასწართა მეფობის დროს შეუბრალებლივ იყო საქართველო აოხრებული სელჯუკელ თურქების მიერ. მაგრამ ჯვაროსანთა გამარჯვებამა და აღმოსავლეთში მაჰმადიანთა დამარცხებამ ხელი შეუწყო დავით აღმაშენებელს და ამანაც ძრიელ მაღლა ასწია დიდება თავისის ქვეყნისა. ვაჟკაცურად გაემკლავა თურქებს და ერთიან განაძევა იგინი თავის სახელმწიფოს ყოველ ადგილიდამ. შემდეგ მოჰყვა და განაახლა საქართველოს ქალაქები, სიმაგრენი და ეკკლესიები, განდევნა მრავალი ბიწიერება სამოქალაქო და საეკკლესიო, ამასთანავე მკვიდრი საძირკველი დაუდო ხალხის სწავლა-განათლებას. ამ ღვაწლმა შესძინა დავით მეფეს სახელი აღმაშენებლისა. ამას შემდეგ მთელი ერთი საუკუნე წარმატებაში იყო საქართველო და ამ წარმატებას მოჰყვა უმაღლესი ხარისხი ეროვნულის დიდებისა და სახელისა.

„1184 წელს თავის მამის ტახტზე ავიდა თამარ დედოფალი და ჰმეფობდა ოც-და-რვა წელი. ეს დრო შეადგენს ყველაზე ბედნიერსა და სადიდებელს ხანას საქართველოს ისტორიისას. ბედმა ხელი შეუწყო თამარ დედოფალს და არგუნა უწარჩინებულესი ნაზირ-ვეზირნი და სახელოვანი სარდლები, მაგრამ მაინც ყოველს წარმატებას მიაწერენ თვით თამარ დედოფლის სიკეთესა და ღირსებას. სამხედრო საქმეებმა და ომებმა დიდად გაუთქვეს სახელი თამარ დედოფალს მთელს აზიაში...

„არც შინაურ საქმეებს არიდებდა თვალს თამარ დედოფალი. იგი იყო დედა ობოლთა, მფარველი ქვრივ-ოხერთა. მცნებანი სარწმუნოებისანი ამოქმედებდა იმას ყოველისფერში. როცა-კი სადმე აიღებდა დავლას, ერთი ნაწილი უნდა გადაედო ღვთის-მშობლის სახელობაზე, რის გამოც ეკკლესიები შენდება ყოველ სოფელში. ძრიელ ღვთის-მოსავი იყო თამარი და მომეტებულს დროს ატარებდა ლოცვაში. თავისს საკუთარის ხელით ჰკერავდა თამარ დედოფალი ტანთსაცმელს ღარიბთათვის. თქმულებაა, ვითომც ყოველ დღე დედოფალი იმოდენა ხელ-საქმეს აკეთებდა, რომ თავისის საჭმელ-სასმელის ხარჯი გამოსულიყოვო. გინდაც რომ ეს თქმულება ნამეტანი იყოს, მაინც იგი გვაჩვენებს, თუ რა ხასიათისა ყოფილა დედოფალი“.

**

თამარ დედოფლის ბრწყინვალე ხანას შემდეგ, ავტორი ლაპარაკობს მტერთა გაძლიერებასა და განუწყვეტელს შემოსევაზე საქართველოში, ლაპარაკობს იმ ტანჯვის დროზე, როდესაც საქართველოს შეგუბებული ჰქონდა სული და შელონებული ჰქონდა გული გაუთავებელის ომებით. ატყობინებს ინგლისის საზოგადოებას, თუ რამდენი ქარ-ცეცხლი დაატყდა ჩვენს პატარა ქვეყანას მეცამეტე საუკუნედამ მეთვრამეტე საუკუნემდე. იხსენიებს ჩვენს გამობრუნება-გამოცოცხლებას მეთვრამეტე საუკუნეში. აქ ვრცლად განიხილავს მეფე ერეკლის მოღვაწეობას საქართველოს გაძლიერებისათვის, ლაპარაკობს შესახებ იმ გარემოებათა, რომელთაც ერთიან შეასუსტეს ჩვენი ქვეყანა და დაუკავშირეს ძლიერს რუსეთს. საკმაოდ დაწვრილებითა ლაპარაკობს იმაზედ, თუ რა პოლიტიკას მისდევდა რუსეთი კავკასიის შესახებ ამ საუკუნის დასაწყისიდამ დღემდე, როგორ დაიპყრა მთელი კავკასია, როგორ დაიჭირა დაღესტანი, რა ბრძოლა ჰქონდა შამილთან დაღესტანში და სხვ. თავისს ისტორიულს წერილს ბ-ნი უორდროპი ათავებს ასე:

„უკანასკნელის ოც-და-ათის წლის განმავლობაში საქართველოს მიეცა ცოტაოდენი ფერი. 1862 წელს კავკასიის მთავარ-მართებლად დაინიშნა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე, თანდათან ანთავისუფლებდნენ გლეხებს ბატონ-ყმობისაგან, გაიმართა რკინის გზა და ტელეგრაფი ურთიერთობის გასაადვილებლად, დაარსდა რამდენიმე ბანკი, სკოლები და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი,—ყოველივე ეს გარემოება ისეთის ღირსებისანი არიან, რომ უყურადღებოდ ვერ დასტოვებს კავკასიის მემატიანე. ამ რამდენისამე წლის წინად თავისუფალი სვანეთიც თავის მჯლობელობის ქვეშ მიიღო რუსეთმა და დღეს რუსეთი შეუცილებელი გამგებელია მთელის კავკასიისა იმ ადგილებამდე, სადაც იწყება მიჯნები სათათრეთისა და სპარსეთისა. თვით უკანასკნელმა ომმა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ვერ გამოიწვია კავკასიელთაგან რაიმე თვალ-საჩინო წინააღმდეგობა რუსეთის მიმართ.

„ესეც-კი უნდა ვსთქვათ, რომ დღემდე ჯერ არ არის შედგენილი საქართველოს სრული ისტორია იმ ღირსებისა, როგორც ჩვენ გვესმის სიტყვა ისტორია. თხზულებანი, რომელნიც ხსენების ღირსნი არიან, წარმოადგენენ მხოლოდ ცოტად თუ ბევრად სარწმუნო მასალას. ამ მასალას მხოლოდ განცვიფრებასა და საკვირველებაში მოჰყავს მკითხველი. იმედი გვაქვს, რომ გამოჩნდება კაცი, რომელიც ღირსი იქნება ამ მასალისა, ჯეროვანად მოჰკიდებს ხელს თავისს სამშობლოს მატიანებსა და წარუდგენს მთელს ქვეყანას უფრო გარკვევით. ამასთანავე ჩვენს გულს ათბობს იმედი, რომ იგი კაცი უიმისოდ არ გაათავებს საქართველოს ისტორიას, რომ არ აღნიშნოს ახლად დაბადება ძლიერისა და თავისუფალის ერისა, რომელიც ღირსეულად განა-

მით გამსუნაგებულნი და მადა-გაღვიძებულნი აქა-იქ დაძრწოდნენ და ხალხს ჩასჩურჩულებდნენ, ვითომ-და როგორც კეთილის-მყოფელნი: „რად გვინდა თვით-მართველობა, ბევრი ფული დაგვეხარჯება, ისევ ამ სიბნელეში გვირჩევნიაო“, მაგრამ არ დაუჯერა ამ ცბიერებს ხალხმა, კარგად იცოდა რაც ალაპარაკებდათ მათ და ბ-ნ მ. თათუზოვის სიტყვის შემდეგ მთელმა ყრილობამ ერთ-ხმად დაამტკიცა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ თელავსაც მიანიჭონ თვით-მმართველობა.

ყრილობა იყო მაზრის სამმართველოს წინ, ლაჟვარდ ცის ქვეშ, რადგანაც ქალაქს დღეს ერთი სახლი არ მოეძევა. ალაგი გვერდაა. ხალხი მრავალია. შუაში გამომწყვდეულნი არიან ბ-ნის მაზრის უფროსის თანაშემწე და დეპუტატები. შემდეგ ბ-ნმა თათუზოვმა წარმოსთქვა დაახლოვებით შემდეგი სიტყვა:

«ბ-ნებო, ეს თქვენი კრება მესამე და კანონიერია. რაც უნდა გადაწყვიტოთ დღეს, ყოველი თქვენი გადაწყვეტილება კანონიერად ჩაითვლება. თქვენ ბრძანდებით დღეს მოწვეულნი, რომ ამოირჩიოთ თქვენ შორის ორი ღირსეული წარმომადგენელი ქალაქისა — დეპუტატები. მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ რაც უნდა ღირსეული კაცები ამოირჩიოთ, რაკი დღევანდელი წესი და რიგი იქმნება დაცული, არავითარს ქალაქის საკეთილო საქმეს მკვიდრს საფუძველზე ვერ დააყენებენ და თქვენს საქმეს წინ ვერ წასწევენ. ერთად ერთი სახსარი ქალაქის რიგზე მოწყობისა, კეთილდღეობისა და წინ-მსვლელობისა არის თვით-მმართველობა, რომელსაც ჩვენი ქალაქი აქამდე მოკლებულია. თუ აქამდე არა გვიზრუნია-რა ამ კეთილის საქმისათვის, ეხლა მაინც დროა გამოვიფშვნიტოთ თვალი, შემოვიღოთ თვით-მმართველობა და ამითი ჩვენი ჭირი და ლხინი ჩვენვე განვაგოთ.

„ეგებ ზოგიერთმა თქვენგანმა იფიქროს, რომ თვით მმართველობის შენახვას ბევრი ხარჯი დასჭირდება და ჩვენი პატარა ქალაქი ამას ვერ შესძლებსო. მეც თანახმა ვარ, რომ გამგეობისა და საბჭოს შენახვა ერთად ჯერ ჯერობით გაგვიჭირდება, ხოლო უგამგეობოდ საბჭოს შენახვა, როგორიც ჩვენ გვინდა და როგორიც არის გიორგიევსკში და სხვაგან, სრულებითაც არ დაგვამძიმებს და, არა თუ არ დაგვამძიმებს, იმდენიც-კი არ დაგვეხარჯება, რამდენიც დღეს მუქთად გვეკარგება და გველუპება“.

აქ ბ ნმა თათუზოვმა საკმაოდ აუხსნა და გაურკვია ხალხს საბჭოს უფლება, შემოღება და შენახვა და დასძინა: „ბატონებო, მაშინ ჩვენ ვიქნებით ჩვენივე ბატონი და საქმის გამგენი. აბა, გადახედეთ, ბატონებო, განათლებულს ევროპას და თვით რუსეთის ზოგიერთ კუთხესაც, სადაც კერძო კაციც ძვირფასად აფასებს თავისუფლებასა და იმისთვის ზოგჯერ თავსაც-კი სწირავს. აბა, ბატონებო, ეხლა მაინც ნუ დავჰკარგავთ დროს და ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ ჩვენც მოგვანიჭოს თვით მმართველობა.

„რას იტყვით ხალხნო: გსურსთ თუ არა თვით-მმართველობის შემოღება თელავში?!“

«გვსურს! გვსურს!»... ყველამ ერთად «ურა!» დაიგრიალა, შემოეხვივნენ ბატონს თათუზოვს და სთხოვეს, რომ ისევ ის დარჩენილიყო დეპუტატად ამ ერთ წელიწადსაც და წლის განმავლობაში როგორც დაიწყეთ ეგ თვით მმართველობის საქმე, ისე დაამგვირგვინეთო, სთხოვდა ხალხი, მაგრამ თათუზოვმა აღარ ისურვა დეპუტატად დარჩენა, ხოლო კრებას აღუთქვა ამ საქმეში კერძოდ დახმარება.

ბ-ნის თათუზოვის დეპუტატობაზე უარის თქმის შემდეგ ყრილობამ ამოირჩია დიდის ხმის უმეტესობით დეპუტატებად ბ-ნი ფირუზა ყაზახაშვილი და ივანე ბაღდოევი. სთხოვა ახალს დეპუტატებს ხალხმა და დაადგინა იშუამდგომლონ მთავრობასთან, რომ რაც შეიძლება ჩქარა მიენიჭოს თელავს თვით მმართველობა.

სრული იმედი გვაქვს ახლად არჩეულ დეპუტატებისა, რომ ისინი ეცდებიან და ამ კეთილის საქმის დასამთავრებლად არავითარს დაბრკოლებას არ დაერიდებიან.

მეთვალყურე

## წერილი რედაქციის მიმართ

ზოგიერთებს ჰგონიათ, ვითომც გასულის წლის „ივერიის“ მე-275 №-ში დაბეჭდილის თელავიდგან გამოგზავნილის წერილის ავტორი მე ვიყო. რადგანაც ის წერილი მე არ მეკუთვნის და არ დამიწერია, ამიტომაც უმორჩილესად გთხოვთ შემიმოწმოთ, რომ ზემოხსენებული წერილი თელავიდამ მე არ გამომიგზავნია *).

გ. ბურჭულაძე

# უცხოეთი

საფრანგეთი. გენერალს ბულანჟეს უთქვამს ერთის ჟურნალისტისათვის: «ჩემი არჩევანი დაამტკიცებს, რომ ჩვენი ქვეყანა სიცოცხლით სავსეა, საჭიროა ჩემს არჩევანს ისეთი ხასიათი მიეცეს, რომ სიკვდილი იყოს იმათთვის, ვინც არასა ჰზრუნავს საფრანგეთის დიდებისა სახელისა და სიკეთისათვის და სდევნიან კაცს მხოლოდ იმიტომ, რათა გსურს შენ ის, რაც ჩვენ არ გვეჭაშნიკებაო. დეე, რამდენიც უნდათ, ილაპარაკონ, რომ ქვეყანა იმათკენ არის. ვინც უნდა დაასახელონ კანდიდატად, ბოლო მაინც ერთი და იგივე მოელის იმათ. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, მე არ ვაზვიადებ, როცა ვამტკიცებ, რომ ამომრჩევლები ათასობით მოდიან ჩემთან ყოველ ცისმარე დღეს და მეუბნებიან, თანავუგრძნობთ თქვენს პროგრამასაო. ეს პროგრამა არის მაინც პროგრამა ყველა პატიოსანის კაცისა, რომელსაც-კი უნდა ბოლო მოუღოს ყველა იმათ, ვინც ბევრსა ლაპარაკობს და საქმის გაკეთება-კი არ შეუძლიანთ. ამიტომა ვარ მადლიერი, რომ საარჩევანო საქმემ ასეთი მიმართულება მიიღო. მე ვჩედავ, რომ ჩემი მადლობელნი არიან იმისთვის, რაც აქამდე გავაკეთე და რაც ავიტანე იმისთვის, რომ გამებედნიერებინა საფრანგეთი შინ და პატივცემული გამეხადა გარეთ“.

ბოლოს გენერალს უთქვამს: იმედი მაქვს, 27 იანვარს იმოდენა თეთრს კენჭს მივიღებ, ისეთი აუარებელი უმრავლესობა ამომირჩევს, რომ არა თუ საფრანგეთი, არამედ უცხო სახელმწიფონიც კი აღელდებიანო.

—პალატის პრეზიდენტს მელინს სიტყვა წარმოუთქვამს და სხვათა შორის უთქვამს, რომ საჭიროა მშვიდობიანი პოლიტიკაო, რათა ღირსეულად ვიდღესასწაულოთ ასის წლის თავი დიდის რევოლიუციისაო. ამასთანავე ისიც დაუმატებია, რომ მე საპარლამენტო წესების მომხრე ვარო, ხოლო ამ წესების წარმატებას დიდი დრო უნდა. ინგლისი რამდენსამე საუკუნეს მოუნდა თავისს საპარლამენტო წესების დამყარებას. მელინს ასე დაუსკვნია თავისი სიტყვა: „იმედია, საფრანგეთი არ უღალატებს იმ საარჩევანო ანდერძს 1789 წლისას, რომელიც ჰღაღადებს: ყოველივე მამულისა და თავისუფლებისათვისაო!“

გერმანია. ბისმარკი კარგა ხანს ფრიდრიხსრუეში განისვენებდა. ამბობდნენ კიდეც, რომ კანცლერი ავად არის და იმიტომ ვერ ჩამოვიდა ბერლინშიო. მაგრამ ეს ამბავი ტყუილი აღმოჩნდა. ბისმარკი სწორედ ამ წლის დამლევს გაჩნდა ბერლინში და შეუდგა თავისს რთულსა და ძნელს საპოლიტიკო საქმეებს. საქმეები კი ამ ხანად ბევრი აქვს ბისმარკს: ჯერ მორიერის საქმე უნდა გათავდეს როგორმე. მერე უნდა მოემზადოს, რომ პარიჟის არჩევანებს შესაბამად დახვდეს, თუ ვინიცობაა მეტადრე ბულანჟე აირჩიეს დეპუტატად. მესამე კიდევ და თვით შუა ევროპის შეერთებული კავშირი უნდა კვლავ დამტკიცდეს. აი ის საქმეები, რომელიც აქვს გასაკეთებელი ბისმარკს ამ მოკლე ხანებში.

— ბერლინის ერთს თეატრში სულ ტყუილ-უბრალოდ კინაღამ დიდი უბედურება არ დატრიალებულა. ხალხს ჰგონებია ცეცხლი გაჩნდაო და არევდაეულით დაუწყია გარეთ გამოსვლა. მაგრამ ამ დროს გამოსულან არტისტები, მათ შორის სახელოვანი ბარნაიც, და დაუმშვიდებიათ საზოგადოება.

სერბია. მეფე მილანს არ შეუწყნარებია თხოვნა ნიკოლა ხრისტიჩისა სამსახურიდამ გადადგომის თაობაზე. მთავარ-მინისტრს ხრისტიჩს მოუხსენებია მეფისათვის, რომ, რაკი არჩევნების დროს რადიკალებმა გაიმარჯვეს, ჩვენი მინისტრობა აღარ მოხერხდებაო. მეფეს პასუხად უთქვამს, რომ თქვენს თხოვნას მხედველობაში მივიღებ ხოლო შეწყნარებით კი ვერ შევიწყნარებ. გთხოვთ დროებით დარჩეთ, ვიდრე ჩვეულებრივი სკუპშჩინა შეიკრიბებოდეს, და მაშინ ვნახავ: თუ იმ სკუპშჩინამ არ მოინდომა ეხლანდელი წესი ქვეყნის მართვისა, მაშინ მივიღებ თქვენს თხოვნასაო. საზოგადოდ ამ თხოვნის ასრულება ჩემზე მოაგდეთ. როცა საჭიროდ დავინახავ, მაშინ შევასრულებო.

## წვრილი ამბები

დოქტორმა ფიალდომ, ბუქარესტელმა, ამას წინად დაჰბეჭდა თავისი შენიშვნები იმის შესახებ, თუ როგორ სწამლობდა უსინათლოებს. მოგვყავს აქ მოკლედ განსაკუთრებული ადგილები ამ შენიშვნისა. აგერ, მაგალითებრ, ჩვენ თვალ-წინა სდგას თხუთმეტის წლის ემაწვილი ქალი, უსინათლოდ დაბადებული, ბასტიანი. ამ ქალს ოპერაცია გაუკეთეს და მორჩა თურმე. ახლა იკითხეთ, თუ როგორ იმოქმედა ქალზე უეცარმა თვალ-ხილულობამ. პირველში საბრალო ქალი მეტად დაბნეული იყო. თვალის სინათლემ გონება დაუბნია და ვერ შეეთანხმებულა ერთმანეთისათვის ხელის შეხებით ნაგრძნობი, უსინათლობის დროს წარმოდგენილი და თვალით

ცოცხლებს სახელსა და დიდებას ირაკლისა და თამარ დედოფლისას“.

**

ბ-ნის ურდროპის აზრი შესახებ ჩვენის უწინდელისა და აწინდელის მწერლობისა იმდენად საყურადღებოა, რომ ჩვენ იმას ვუძღვნით ცალკე ფელეტონს. ეხლა-კი ამ წერილს გავათავებთ იმითი, რომ გაკვრით მაინც შევატყობინებთ მკითხველს, თუ რა თვალით უყურებს ბ-ნი ურდროპი ჩვენს დღევანდელს ავ-კარგიანობას, ჩვენს ყოფა-ცხოვრებას. ავტორის აზრით, ქართველი ერი თანდათან იღვიძებს, ფეხს იდგამს, თვალ-დახუჭული აღარ შეჰყურებს თავისს ღირსებასა თუ ნაკლულევანებას. აქამდე განცალკევებულნი თემნი ხელ-ახლად აძლიერებენ ურთიერთობას, ყველანი ჰგრძნობენ თავიანთს ქართველობას და თვით ენაც, მწერლობის წყალობით, თანდათანა სუფთავდება, საყოველთაო ჰხდება მათთვის და ამავე დროს პროვინციალური განსხვავება სუსტდება. სწავლა განათლების წყაროები თანდათან ჰმატულობს ქართველობაში და მრავლდება რიცხვი სკოლებისა და მოსწავლეებისა. ქართველებსა აქვსთ დღეს თავიანთი საკუთარი საზოგადოება, რომელიცავრცელებს სწავლა განათლებას გლეხთა შორის. ყოველივე ესე ხელს უწყობს ქართველის გამოფხიზლებასა და აღონივრებს ეროვნულ თვითცნებას, რომელიც დღეს გაცილებით ძლიერია, ვიდრე ყოფილა საქართველოში როდისმე შემდეგ მეთხუთმეტე საუკუნისა, როცა ისე უბედურად დაიქსაქსა ეს ხალხი.

„არ სასურველი მტრობა ერთმანეთში ქართველთა, კახელთა და იმერელთა უკვე გაჰქრა, დავიწყებას მიეცა,...

„საინტერესოა, რომ ქართველ ხალხს თავისი პოლიტიკური იდეალები გადმოუღია დასავლეთ ევროპიდამ. იაპონიას გარდა სხვა მაგალითი არ არის, რომ ხალხი გადასული ყოფეოდალურ შეხედულობიდამ პირდაპირ ლიბერალურ აზრებზე. შვილი-შვილნი ურომელო (აბსოლიუტურ) მონარქებისა, კაცნი, რომელნიც ამ ოცდა-ხუთის წლის წინ საშინელნი მომხრენი იყვნენ ბატონ-ყმობისა, დღეს ცხარედ იღწვიან სახალხო იდეების გავრცელებისათვის და მოურიდებლივ ჰღაღადებენ თავისუფლებას, თანასწორობას, ძმობასა და ერთობას თავადთა და გლეხთა შორის, ოსტატთა და მუშათა შორის. ეს გარემოება არ არის მხოლოდ ერთი, რომელიცა ჰმოწმობს, რომ საქართველოს ზურგი შეუქცევია აზიისათვის და გაუხსნია თავისი მკერდი ევროპისათვის, რომ პარიჟის მოდას, გერმანიის რაციონალიზმს, ინგლისის გასართობებს და სხვა ნაყოფს ჩვენის ცივილიზაციისას საქართველოში უპოვიათ ასპარეზი თავიანთის ზედ-მოქმედებისათვის“.

**

არც ის გამოჰპარვია ბ-ნს ურდროპს, რომ ჩვენმა ქვეყანამ ცოტად თუ ბევრად დაიწყო ამ ბოლოს დროს ზრუნვა თავისს ქონებრივს მოღონივრებაზედაც. ავტორი ლაპარაკობს ჩვენს სათავად-აზნაურო ბანკებზე და სხვათა შორის ამბობს: ეს ბანკები ისეთი დაწესებულებანი არიან, რომ უთუოდ „უნდა ყურადღება ათხოვოს მათ ყველამ, ვინც-კი მონაწილეობას იღებს ქართველის ბედში. ბანკი დაარსეს 1874 წელს იმ აზრით, რომ მხვნელ-მთესველს მიეცეს ღონისძიება წარმოებისა და ნაკლების სარგებლით შეაძლებინოს ფულის სესხება. მთელი შემოსავალი გადადებულია სიქველ-მოქმედო საქმეთათვის და სწავლა-განათლების გაძლიერებისათვის. შესანიშნავია, რომ თვით განათლებულს კაცებს საქართველოსას ესეთი იარაღი საზოგადო მოღვაწეობისა უმჯობინებია ყველა სხვა საშუალებისთვისა და ამისი საბუთიც ცხადია. ამ საუკუნის მწვავე გამოცდილებამ დაანახვა მათ, რომ თუმცა გულ-უხვობა და ხელ-გაშლილობა საუკეთესო და კეთილშობილური ღირსებაა ადამიანისა, მაგრამ არც გადაჭარბება ვარგა, და ამის გამო იმათ ჰკვიანურად გადასწყვიტეს იხმარონ ყოველი ღონის ძიება, რომ გააძლიერონ ქონებრივი შეძლება თავიანთის ქვეყნისაო“.

ბანკის პატრონები წელიწადში ერთხელ შეიკრიბებიან და თათბირობენ საზოგადო საქმეებზე. ბ-ნი ურდროპი თითონაც დასწრებია ბანკის კრებაზე და ამბობს, რომ ამ „ლამაზის, მეომარის აზიელების“ კრება მათის მოხდენილის ტანთ-საცმელით საუცხოვო რამ სანახავიაო, და საქმეც, მუსაიფიც სწორედ იმ წესზედ მიჰყავთ, თითქო ლონდონის სიტის ბანკთა წარმომადგენელნი იყვნენო.

„ვისაც ამიერ-კავკასიაში უცხოვრია, მარტო იმან იცის, თუ რა ღვთის-რისხვა ხალხია ის ხალხი, რომელიც კერძოდ ასესხებს ფულს. ადგილობრივი ანდაზაა, რომ „ერთი ბერძენი სამს ურიას მოატყუებს, მაგრამ ერთი სომეხი კი სამს ბერძენს გააცურებსო“, და რაღა თქმა უნდა, რომ პირდაპირს, მართლის მოყვარესა და პატიოსანს ქართველ ხალხს ხელოვნურად ავლებენ პირში ჩალას შვილიში ჰაოსისანი. როცა მოტყუილება მეტად აშკარაა, მაშინ-კი სომხებს ხშირად გაუჭირდებათ საქმე და თავისის სიხარბისა გამო სიცოცხლესაც გამოეთხოვებაიან ხოლმეო“.

აქ ავტორს მოჰყავს ამბავი თავად ავალიშვილისა, რომელიც სისხლის სამართალში ჩავარდა სომხის მოკვლის გამო. შემდეგ ბ ნი ურდროპი ამბობს:

„ის კი არავინ იფიქროს, ვითომც მე ამით ვამბობდე რასმე წინააღმდეგ სომეხთა ერისას. პირ-იქით, მე ძალიან მაღლა ვაყენებ სომხების ნიჭს მწერლობისასა და მართვა-გამგებლობისას. აგრეთვე დიდად ვაფასებ დაუღალავს მეცადინეობასა და ენერგიას, რომლითაც იგინი ებრძვიან ყოველს განზრახვას წინააღმდეგ მათის ეროვნულის გაძლიერებისას. სომხები, რომელნიც-კი არ მისდევენ ფულის გასესხებასა და ვაჭრობას, ისეთი მოქალაქენი დგებიან, რომ ქვეყანას ასახელებენ, მაგრამ ფულის გამსესხებელი, სომეხი იქნება, თუ ურია, საზოგადოდ საზიზღარის ხასიათისა გამოდის და სომხები ხომ, საუბედუროდ, ეს რამდენიმე საუკუნეა ისეთს გარემოებაში არიან, რომ მათი უმეტესი ნაწილი შეელოხებად უნდა გამოსულიყვნენო“.

სანო

*) რედაქცია აცხადებს, რომ იმ წერილის ავტორი ბ-ნი გ. ბურჭულაძე არა ბძანდება.
რედ.

ნანახი, როცა დანას აჩვენებდნენ, მაკრატელს, კოვზს და სხვა იმისს ნაცნობს ნივთებს და ჰკითხავდნენ რა არისო, სახელს ვერ ამბობდა. ინსტინქტით ხელში იღებდა და თუ არ მისცემდნენ, ვერას გაიგებდა ხოლმე. ხოლო ხელს ახლებდა თუ არა, მაშინვე სახელსაც ამბობდა. საბრალო ქალი გაოცებაში იყო მოსული თურმე, როცა თავისს აგებულებასა ჰხედავდა. როცა, მაგალითებრ, ხელსა და ფეხს ისინჯავდა, ან ჰკითხავდნენ—რას უყურებო, პასუხად არას ამბობდა. უნდა ხელი აგეღოთ, თვალებთან მიგეტანათ და მხოლოდ მაშინ იტყოდა ხოლმე გაოცებული ამოოხვრით: „ჰო, ეს ჩემი ხელიაო!..“

აგერ კიდევ 25 წლის უსინათლო, რომელიც იმითი მორჩა, რომ თვალზედ გადაკრული ბისტი აახალეს. პირველში ესეც ისე დაბნეული და გაოცებული იყო, როგორც ზემოხსენებული ქალი. თითონვე ამბობდა ხოლმე შემდეგ, რომ ჩემს ძველს მეგობრებს ვერა ვსცნობდი, მანამ ხმას არ ამოიღებდნენ და არ იტყოდნენ რასმეო. როცა უსინათლო ვიყავი, ადვილად შემეძლო სახლიდგან გამოსვლა, ქუჩაზედ სიარული, ქალაქში მისვლა-მოსვლა და სახლში მშვიდობიანად დაბრუნება. როცა თვალ-ხილული შევიქენი, პირველში უგზის-მაჩვენებლოდ ვერსად მივდიოდი; როცა მარტო ვრჩებოდი, არ ვიცოდი საით წავსულიყავ, დაბნეული დავდიოდი ქუჩა-ქუჩა და გამვლელ-გამომვლელთათვის უნდა მეკითხნა გზა. შემდეგ და შემდეგ-კი შევეჩვიე მარტო სიარულს და თვალის სინათლის მოხმარებას.

რაკი თვალის სინათლეზე და უსინათლოთა თვალ-ხილულობაზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ამ უკანასკნელს დროს, თვალის დოსტაქრობის შემწეობით, იმედია, შესაძლებელი შეიქმნება უსინათლობის მორჩენა, ისეთისაც-კი, რომელნიც თვალ-ხილულნი დაბადებულან და შემდეგ სხვა-და-სხვა ავადმყოფობის გამოისობით დაუსინათლოებულან. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ადამიანს თვალის ცილისა, ბაიისა და ჩინის სულ ზემო ნაწილი უფუჭდება და ბრმავდება. აქამომდე მკურნალთა ამ გვარ უსინათლოების მორჩენა შეუძლებლად მიაჩნდათ და ხელის ჩაქნევით აცხადებდნენ, ვითომ-და არა ეშველება-რაო. ხოლო ეხლა სამკურნალო მეცნიერებამ ამ მხრივაც მიაგნო გზას ხსნისას. ეს გზა ის არის, რომ თვალის კაკლის ზემო ნაწილს აცლიან ავადმყოფს და უსვამენ რომელსამე პირუტყვის, მაგალითებრ, კურდღლის, თვალის კაკლის ზემო ნაწილს. აქამდე ეს საქმე ჯეროვნად ვერა სრულდებოდა, ახლად ჩასმული ცილა, ბაია და ჩინი თვალისა ცოტა ხანს შემდეგ იმღვრეოდა და გამოუსადეგარი ხდებოდა. ამ ერთის წლის წინად ერთმა გერმანელმა თვალის ექიმმა, პროფესორმა გეპელმა, ოპერაციის რიგი და წესი შესცვალა და ამ გვარად ორი უსინათლო მოარჩინა. მას შემდეგ წელიწადია და ახლად ჩასმული ცილა, ბაია და ჩინი თვალისა არ დაჰზიანებიათ. თუმცა გოპელის მიერ მორჩენილნი უსინათლონი ძალიან კარგად ვერა ჰხედავენ, მაინც უნდა ვსთქვათ, რომ ოპერამ დიდი სიკეთე უყოთ, რადგან წინად სულ უსინათლონი იყვნენ.

# დეპეშა

5 იანვარი

ვენა. ოფიციალურად უარ ყოფილია ის ამბავი, ვითომ მთელის ნოვობაზარის სანჯაყი ავსტრიამ დაიპყროო.

ბერლინი. მინისტრი ფრიდბერგი დათხოვნილია სამსახურიდგან. ამ დათხოვნის მიზეზი, უეჭველია, იქმნება საქმე სოვეტნიკის გეფკენისა, რომელიც სამართალში იქმნა მიცემული იმპერატორის ფრიდრიხ მე-III წერილების გამოქვეყნებისათვის და გაამართლეს.

სოფია. საგენერალო შტაბის ოფიცრებმა, რომელნიც მუტკუროვმა შეურაცხჰყო და ზარმაცობა დასდო ბრალად, სამსახურიდგან გადადგომა მოიწადინეს, ხოლო იგინი გადაყვანილ იქმნენ ჯარში.

პრინცმა ფერდინანდმა შესცვალა საერო დროშა და ბოლგარიის ლომს კობურგელთა გერბი მიუმატა. საზოგადო უკმაყოფილების გამო მინისტრთა საბჭომ ურჩია პრინცს, რომ ეგ დროშა ჩამოალებინეთო. ეს ამბავი ჯერ არ დაბოლოვებულა.

6 იანვარი

პეტერბურგი. „Новое Время“ ამბობს: პეტერბურგში მომავალ ბუხარის საგანგებო ელჩთა, სხვათა შორის, მინდობილი აქვსთ, რომ იშუამდგომელონ სამარყანდის დაბრუნება და იმის მაგიერ რუსეთს შეაძლიონ ბუხარის ერთი დიდი პროვინცია, რომელიც რუსეთის სამფლობელოთა საზღვარზედ იმყოფებაო.

7 იანვარი

პეტერბურგი. ჩერნოგორიის მთავრის ასულანი გუშინ ჩამოვიდნენ პეტერბურგს.

მერვი. დღეს ჩამოვიდნენ პეტერბურგს განსვენებულ პრჟევალსკის ექსპედიციის მონაწილენი. იმათის სიტყვით, ამ გაზაფხულის დამდეგს ახლად შედგენილი ექსპედიცია ტიბეთს წავა, რომ ლასის მიაღწიოს.

პარიჟი. შეტაკების გამო, რომელიც მოხდა გუშინ თოფინისში, უაზის დეპარტამენტს, დიდი არეულობაა ამტყდარი. ცეცხლი წაუკიდეს ერთს საფაბრიკო შენობას. წესიერების ჩამოსაგდებლად არეულობის ადგილს ჯარია გაგზავნილი.

პრაგა. ჩეხთა სეიმმა ერთ-ხმად მიიღო წინადადება, რომ ჩეხთა განსაკუთრებული აკადემია დაარსდესო. მომხსენებელმა რიგერმა სთქვა, რომ რაოდენობით მცირე ჩეხთა ერი დიდებულ გერმანიის ერთან შეტოლებას არა ჰფიქრობს, მაგრამ იმასთან ერთად არსებობა-კი, შეუძლიანო.

პეტერბურგის ბირჟა, 5 იანვარი.

| | მყიდველნი. | | გამყიდველნი. | | გაყიდულნი. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 7 | 50 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 150½ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 | 13 | — | „ | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — | „ | — | „ | 264½ | |
| —მეორისა . . . . . | — | „ | — | „ | 245 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 97 | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97 | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 82 | „ | — | „ | — | „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუმთ (1889) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადები—6.
იანვარი 31 დღით არის.

8 დღე კვირა. წმ. აბო ტფილელისა და სხ. კათოლ. აბ. სევერინასი. მაჰმად. მე-19 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—გარდაიცვალა ქართლის მეფე თეიმურაზი ასტრახანში, როცა იგი ს.-პეტერბურგიდგან საქართველოში ბრუნდებოდა. ირაკლი ავიდა ქართლისა და კახეთის სამეფო ტახტზე, 1762 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 7—22, ჩადის 4—59. მთვარე 19 დღისაა.

9 დღე ორშაბათი. წამ. პოლიევქტისა, წმ. პეტრესი და სხ. კათოლ. წმ. მარციანასი. სომეხ. სალამოზედ ნახატონაქი. მაჰმად. მე-20 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ევველისა, 1306 ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 7—22, ჩადის 5—1. მთვარე 20 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 იანვრიდამ 16 იანვრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ | » |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| ღორის ხორცი . . . | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |

# განცხადებანი


მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი.

Huste-Nicht
Gerichtl. geschützt

„ნუ ახველებ“

თაფლ-ბალახიანი-მალც-ექსტრაქტი და კონფეტები

ლ. ბ. პიტშისა და ამხ. ბრესლავლში.

იხმარება წინააღმდეგ ხველისა, ხმის წასვლისა და ყელისა და გულის ავადმყოფობისა.

ხმარების რიგი და წესი:

დ-რმა მიხაელისმა med. praet. დაჰქნიშნა ბავშვთათვის 3—4-ჯერ დღეში თითო ჩაის კოვზი, ხოლო უფროსებისათვის ჰხმარობენ ყოველ დღე 4—6 ჩაის კოვზს ექსტრაქტს.

კონფეტების ამ თავითვე ხმარებით შეიძლება საშემდეგოსოდ აიცილოს ადამიანმა ხველა, ხმის წასვლა და ყელის გაცივება.

ქიმიკურ ანალიზითა და სამკურნალო გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ყოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ჯან-მრთელობისათვის. ამ წამლების რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.

ფასი: ბოთლი ჰღირს 1 მან. 25 კაპ. და 2 მან. 40 კაპ.

კონფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეხვევა ცალკე უნდა იანგარიშებოდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის იმყოფება ვ. აურიხთან ს.-პეტერბურგს.

ისყიდება აგრეთვე რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში.

ტფილისს: სააფთიაქო საქონლით ვაჭრობის კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან.

(17—7)



წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . | ,, | 40 |
| გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| საიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | ,, | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | ,, | 20 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები. ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | ,, | 15 |
| ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. გვიცარიძისა . . . . . . . . | » | 45 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | ,, | 30 |



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50„ | 5 › . . . . . | 5 „ 25„ |
| 10 „ . . . | 8 „ 75„ | 4 › . . . . . | 4 „ 75„ |
| 9 „ . . . | 8 „ —„ | 3 › . . . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . | 7 „ 25„ | 2 › . . . . . | 2 „ 75„ |
| 7 „ . . . | 6 „ 50„ | 1 › . . . . . | 1 „ 50„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით.
სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.
ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდევის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.



რუსეთში შემოტანა და გასყიდვა ნება-დართულია სამკურნალო დეპარტამენტის მიერ.




ორეუს ხის ბალზამი დ--რის ლენგილიისა,

სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბა ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას.

მომზადების წესი და რიგი:

ამ ბალზამის კეთების დროს უმთავრესი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ შიგ არ ურიონ კანზედ ცუდად მომქმედი რამე ნივთიერებანი, პირიქით, ისეთები იხმარონ, რომელნიც სახისა და ხელების კანზედ კარგა ჰმოქმედებს და მარგებელია.

ფასი: შუშა ჰღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოს საპონი ჰღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ოპო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ჰღირს 70 კაპ., აზიის რუსეთს—1 მან.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის იმყოფება ვ. აურიხთან ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, 18—19.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიებში.

ტფილისს: სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან. (31—5)


Доз. ценз. Тифлисъ 7-го Января 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე